# სახალხო გაზეთი

№ 1140 შაბათი, 15 მარტი 1914 წ. № 1140

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდენი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის
## „სახალხო გაზეთზე“
(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოცვლა 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ 50 კ. 1 ნკენისთვემდე.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

## „სახ. გაზეთის“ კანტორისაგან:
„სახალხო გაზეთის“ კანტორა ამით აცნობებს 1913 წლის გადაულ და მეჯგუფსხვავულ წლიურ ხელის მომწერთ, რომ ხსენებულ წლის გაზეთის პრემია პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (1-ლი წიგნი) შეუძლიანთ მიიღონ 13 მარტიდან ქ. გორში სანდრო გძელიშვილთან.

მიიღება ხელის მოწერა
## არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-5-ე ტომზე.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 23 მარტამდის ტფილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. გორში სანდრო გძელიშვილთან და ქუთაისში ილიორე კვიცარიძესთან.

წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ. ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.

ექ. მიხეილ დორმიდონტის ძე წინამძღვრიშვილი, გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილი, ანნა ბესარიონის ასული პაპიტაშვილი, მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე შვილის, მესამე შვილიშვილის და უკანასკნელის რძლის

### ანასტასია გრიგოლის ასულის წინამძღვრიშვილისას

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 6½ საათზე, საკუთარ ბინაზე. სამეფო ქუჩა № 31). გამოსვენება მოხდება კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე გორის საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა სამების ეკლესიის გალავანში. 181

კოლია სოლომონის ძე, სოლომონ ივანეს ძე და მარიამ ივანეს ასული ბოკერიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—მეუღლისა და დანარჩენნი რძლისა

### კატო გიორგის ასული ბოკერიასი,

ვამოსვენება მოხდება ქ. ფოთში, 16 მარტს, 3 საათზე, დღისით, იეანოვის ქუჩა, საკ. სახლი. 184

დარია შავიშვილისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას ძვირფას მეუღლის

### კანდიტორ შავარდენის ძე შავიშვილისას.

დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში, კვირას, 16 მარტს. 186

## ქართული თეატრი
ტელეფონი № 795.

კვირას, 16 მარტს, 1914 წ., ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ ქ-ნ ნ. ჩხეიძის და ბ. ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I
### სოფლის ექიმი
დრამა 2 მოქმ. შორდოსი, თარგმ. ა. მეგრელისა.

II რომელი ერთი? ეპიზოდი 1 მოქმ. ბანქოსი, თარგმანი მ. კორელისა.

III ბებრის სალერღელი. კომედ. 1 მოქმ. მაზურკევიჩისა, თარგმ. დ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ტ. აბაშიძე, მ. მდივანი პიერლეტა, ა შოთაძე, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, ქ მესხი, მ. სარაული, მ. ხონელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი მ. ქორელი. 1078

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
## სამკურნალო
საწოლი ოთახებით
### მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
## ილია ჭავჭავაძის
სრული თხზულება.
### მიხეილ გედევანიშვილის
გამოცემა, ტფილისი, 1913 წელი, ფასი 10 მანეთი.

იყიდება აგრეთვე ყოველგვარი ქართული წიგნები: ღვთისმეტყველება, სიტყვა-კაზმული მწერლობა, სიტყვიერების ისტორია, თეორია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, სახელმძღვანელოები, საყმაწვილო წიგნები. ქართ. სასიმღ. და საგალ. ნოტები, ჩვენი მწერლების სურათები. 1072

გორის პირველი კერძო
## სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვრიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606“, „914“. 1088

## ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

### წამლობა „914“. 1023

## ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი ზ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფიდოროვი ე. გ. ყოველ დღე, 11—12.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | ზარქუვიჩი მ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფიდოროვი გ. ს. ყოველ დღე 11—2.<br>კიკალაშვილი პ. ლ. ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოეჯი ბ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელის, ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

## ავლაბრის სახალხო თეატრი
ავლაბრის ქართულ სახ. წარმ. მმართვ. წრისა.

კვირას, 16 მარტს, ავლაბ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, „მსახიობ სოსო ჟვანიას მონაწილეობით წარმ. იქნება:

### ფული და ხარისხი, კომ. 3 მოქმ. აზიანისა. | II) დატრიალდა ჯარა, ვოდ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: მარგველაშვილისა, საკოვისა, მიქაძისა. ბ-ნნი: ს. ქვიძე, ს. სულთანიშვილი, ა. თავდგირიძე, ვ. ქიზიყელი, ბ. მაისურაძე. კახურაშვილი, ბროძელი, რევაზიშვილი, მანჯავიძე და სხვ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ბილეთები 50—4 კაპ. იყიდება თეატრის კასაში.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება „უმუშევარნი“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

185 გამგეობის მორიგი წევრი რ. ჯიბლაძე. რეჟის. ს. ივანიძე.

## არტისტიულ საზოგად. საკონცერტო დარბაზი
ორშაბათს, 17 მარტს, 1914 წ.

რუსეთის ცნობილი ფუტურისტი

### ნ. ი. კულბინი
წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

### „ფუტურიზმი“.
(ბუნდოვანი სურათებით).

ბილეთ. ფასი 3 მ.—55 კ. დასაწყისი 8-ნახევარ ს.

ბილეთები იყიდება ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში (გოლოვინ. ქ.) და არტისტ. საზოგ. კლუბში შესასვლელთან დილის 12—2 და საღამ. 6—8 ს.

საერო ტელეფონი № 720. საერო

კახური ღვინოები ამხანაგობისა

## საერო
იყიდება

კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებაში და ყველა საუკეთესო საბაკალეინო და გასტრონომიულ მაღაზიებში.

კანტორა და მთავარი საწყობი ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში.

საერო ტელეფონი № 720. საერო 1108

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 17 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, მისი თანადასწრებით მოხდება განმეორებითი, საბოლოვო

### საჯარო ვაჭრობა
კუკიის აგარაკის: სახნავი, სამოვარი და სითიბი ადგილების

### იჯარით გასაცემად.
პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში, საიჯარო მაგიდასთან, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. 1114

## საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
## სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

## ექიმი
კბილისა
ნინო რცხილაძე.

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

## ქირავდება სასტუმრო
ახლად გაკეთებული და გარემონტებული 24 ოთახი, შეიძლება 27-იც, გრონცოვის ძეგლის მახლობლად, ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, სამი მხრიდან ტრამვაი სასტუმროს კარის წინ ჩერდება. ვაჭრობა უზრუნველ ყოფილია.

პირობების გაგება შეიძლება ფეხსაცმელთა სახელოსნოში, ძმ. ლოთქიპანიძეებთან, პირდაპირ, ლაზარაშვილის სახლში. 175

ქ. გ ო რ შ ი
## ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი). მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1050

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
## ბ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელგისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ლარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე უფასოდ. ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1087

**ექიმი ი. ი. ბერიძვილი**
სწამლობს სამარდე ორგანოთა, ათაშანგისა კანის ავადმყ. დასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლის. მიიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირიჩნი ქუჩის ახლოს, სადუღგანყოფ. პირდაპირ. 1080

**ნაძალადევში**
**ექიმი** ხუდადოვის ქ., 4.
**ი. რ. ხურგულაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი $4^{1}/_{2}$—7 საათ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს. 141

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
თერდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

**ექიმი პავლე არდაზიანი**
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

**ექიმი გ. მუხხელიშვილი**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**
გადმოვიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გან. ...ლისა.

## ქართული პრესა

ჟურნალ „კოოპერაციაში“ დაბეჭდილია ნ. ნიკოლაძის აზრი მეღვინეობის განვითარების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში. ნ. ნიკოლაძე ამბობს:

ქუთაისის გუბერნიაში არ ერთი დარგი მეურნეობისა არც განიცდის ისეთ ცუდ მდგომარეობას, როგორსაც მეღვინეობა. მეღვინეობა ჩვენში მომდინარეობს თითქმის ნოეს დროიდან და მას მშრომელთა ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ყოველთვის და ახლაც უჭირავს.

ოფიციალურ ცნობებით, 1909 წელს ვენახით მოშენებული მამულის რაოდენობა უდრიდა 20,314 დესეტინას, ყურძნის მოსავლისა—3,178,404 ფუთს, ხოლო თვით ღვინოსი—2,469,540 ვედროს, და გამოხდილი სპირტისა კი—944,333 გრადუსს. წინანდელ წლების ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1906 წელს ყურძნის მოსავალი უდრიდა 3,355,840 ფ. 1907 წ.—4,426,604 ფ. და 1908 წ.—4,015,841 ფ.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ცნობებში საეჭვებით კიდევ როდი გამოიხატება ყველაფერი, მაგრამ აქედანაც აშკარა ხდება, რომ როგორც ვენახით მოშენებული მამულისა, ისე ყურძნის მოსავლით, ქუთ. გუბერნია მეორე ადგილი უჭირავს მთელს იმპერიაში.

მეორე ოფიციალური წყაროს ცნობებით მეურნეობის როლი ჩვენს თვალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან ხასიათსა ღებულობს: ქუთ. გუბერნიაში 70,260 მეღვინეა, მაშინ როცა ტფილისის გუბერნიაში, საცა ვენახს დაკავებული აქვს იმდენივე მამული, რამდენიც ქუთ. გუბ.—მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია—42,807.

ავტორის აზრით, ამ წვრილ მემამულეებს არ შეუძლიათ გააუმჯობესონ მეღვინეობა, კარგი ყურძენი მოიყვანონ და ღვინოც კარგი დააყენონ, შემოიღონ ახალი ტეხნიკა. აუცილებლად საჭიროა მათი შეერთება, რომ ერთი დიდი საზოგადოება დაარსონ და შეერთებულის ძალით სარდაფი გაიკეთონ, მცოდნე ტეხნიკოსები მოიწვიონ და ვენახებსაც უკეთესად მოუარონ.

## ხარაშეში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჟურნალი „ზავეტის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო წერილები ე. სტალინსკისა, სახელად „ტაქტიკური პრობლემები“. ავტორი ეხება თანამედროვე ცხოვრების ერთს უდიდეს საკითხთაგანს. თავში მოკლედ მოგვითხრობს „ინტერნაციონალის“ დაარსებას, მის მიერ შემუშავებულს ტაქტიკას და აგვიწერს იმ გზას, რომელსაც ადგნენ დღევანდელი სოციალისტური პარტიები: ეს გზა იყო პროპაგანდა, ორგანიზაცია, საარჩევნო ბრძოლა და ფრაქციების მუშაობა პარლამენტებში. ბევრ რამეში განსხვავდებიან მარქსისტები, ინტეგრალისტები და რევიზიონისტები, მაგრამ მოღვაწეობის, მოქმედების ფორმა ყველას ერთნაირი აქვს. ხოლო ბოლო დროს ესეთი მდგომარეობა თანდათან იცვლება, პარტიებში აღარაა წინანდელი რწმენა ძველის ტაქტიკისადმი. ეს გამოიწვია უმთავრესად მუშათა ცხოვრების გაუარესებამ. კაპიტალისტური წარმოება უფრო და უფრო ავიწროვებს და სჩაგრავს მუშას და თან მუშაც უფრო შეგნებულია დღეს და უფრო ჰგრძნობს თავის ვითარების სიმწვავეს. თანამედროვე კაპიტალიზმის დამახასიათებელი თვისება—გადასახადების გადიდება, ცხოვრების გაძვირება, უფრო და უფრო გაძლიერებული შიში საერთაშორისო ომისა და აღვირაშვებული მილიტარიზმი. ამას უნდა დავუმატოთ კაპიტალისტების ორგანიზაციების განვითარება კლასობრივ ინტერესების დასაცავად. ყოველისავე ამის გამო სოციალისტურ პარტიებს ეჭვი შეეპარათ ძველის ტაქტიკის ვარგისობის შესახებ და დღეს გაბედულად გაისმის ხმა ტაქტიკის შესაცვლელად, რომელიც მოუწოდებს მუშებს მეტის აქტიურობისათვის.

ე. სტალინსკი გვაცნობს ახლახან პარიზში დაბეჭდილს ალბერისა და დიუშენის წიგნს ამ საკითხის შესახებ. ამ წიგნის ავტორები აღიარებენ, რომ კაპიტალისტური წარმოების უკანასკნელი ჟამი ახლოვდება დღე-თი-დღე; ეს ღრმად სწამთ, მაგრამ ასე დაჯერებით ვერ იტყვიან, რომ კაპიტალისტური წარმოების ადგილს დაიკავებს სოციალისტური, ვინაიდგან ეხლანდელი სოციალისტური ტაქტიკა არ შეეფერება სოციალური ბრძოლის საერთო მიმართულებას. ავტორები სასტიკად ჰკიცხავენ მარქსისტულს შეხედულობას, რომელიც მიაჩნიად დღევანდელ ტაქტიკის უმთავრეს მიზეზად. მარქსისტული თვალთ-აზრისით, სოციალიზმი ემყარება მხოლოდ ეკონომიკას; ისტორიის მატერიალისტური განმარტებაც ამის დამტკიცებას ცდილობს. მარქსიზმმა შეიმუშავა რამდენიმე სოციალური კანონი, რომელთა ძალით ეკონომიურ-სოციალური განვითარება რაღაც სტიქიურის აუცილებლობით ხდება და მუშები ადვილად გაიმარჯვებენ. ეს ყოვლად შემცდარი აზრია და მარქსისტულ კანონებს არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს: ეკონომიური განვითარება აუცილებლად სოციალიზმისაკენ არ მიისწრაფვის.

„ნამდვილად კი, ალბერის და დიუშენის აზრით, თუ ავიღებთ სოციალიზმის არსებას, თუ ჩავუკვირდებით სოციალიზმის სხვა და სხვა სახეს და გამოცხადებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, უნდა აღვიაროთ, რომ სოციალიზმი მხოლოდ ახალი ფორმაა ადამიანთა მუდმივი მისწრაფებისა დამოუკიდებლობისა, სამართლიანობისა და თანასწორობისადმი. იმ დღეს, როცა გამოირკვა, რომ შეუძლებელია დამოუკიდებლობის, სამართლიანობის და თანასწორობის უზრუნველ-ყოფა საზოგადოების ეკონომიურის საფუძვლების შეუცვლელად, დაიბადა სოციალიზმი“.

ბურჟუებს შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავისუფლების მოთხოვნილება, რადგან უზრუნველყოფილნი არიან ქონებრივად, ხოლო ღარიბები მომწყვდეულნი არიან ქონებრივი გაჭირვების კლანჭებში და ნათლად ჰგრძნობენ, რომ მათი სულიერი ცხოვრება, აზრები და გრძნობები არ შეეფერება მათ უმწეო არსებობას.

„ამიტომ ღარიბებს ებადებათ მისწრაფება ისეთი ეკონომიური წესწყობილებისადმი, რომელიც მიანიჭებს მათ თანასწორობას და თავისუფლებას. აქედან წარმოიშვა სოციალიზმი, რომელიც დემოკრატიის ნამდვილი რელიგიაა.

ალბერი და დიუშენი არ უარყოფენ იმას, რომ სოციალიზმი ეკონომიური საკითხია, ვინაიდან სოციალისტური იდეალის განხორციელება მოითხოვს წარმოების და განაწილების ახალი სისტემის რეალიზაციას; მეორეს მხრით უთანხმოება, რომელიც ორად ჰყოფს საზოგადოებას, ეკონომიური ხასიათის უთანხმოებაა. მაგრამ ის მიზეზები, რომლებიც იწვევს ბრძოლას ამ უთანხმოების მოსასპობად, მომდინარეობს პოლიტიკისა და ზნეობისაგან.

„დაკვირვებით უნდა ვადევნოთ თვალყური, ამბობენ ჩვენი ავტორები, ეკონომიური მოვლენების განვითარებას და შევუფარდოთ მას ჩვენი ტაქტიკა და პროპაგანდა და არ უნდა გაგვიტაცოს უტოპიამ (ოცნებამ), მაგრამ ამავე დროს გაბედულად უნდა მოვუწოდოთ შეგნებულს ნებისყოფას. უნდა მოვუწოდოთ დასახმარებლად იდეალიზმის, რწმენის და ენტუზიაზმის დიადს ძალებს, რომლებიც დასაბამიდან იტაცებდნენ და ამოძრავებდნენ ადამიანებს. მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლიან დავახწიოთ თავი დღევანდელს გზა-შეკრულს მდგომარეობას“.

დღეს პროლეტარიატს არ მოეპოვება არც პოლიტიკური არც ლიტერატურული ძალა. მისი ძალა მისი რიცხვია, მასსიური უმრავლესობა. ხოლო ეს ძალა მაშინ მიანიჭებს გამარჯვების პროლეტარიატს, მშრომელს ხალხს, თუ იგი ღრმად იქნება განსჭვალული რევოლუციონური სულით და ექნება ნითელი სოციალისტური შეგნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ეხლანდელი კაპიტალისტური წარმოების ალაგას აიგოს ახალი, სოციალისტური.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი**, რომელიც ამ დღეებში ტფილისს ჩამოვიდა, ჯერ კიდევ დარჩება ტფილისში, რადგანაც ექიმებთან დაიარება და ყურსა და ცხვირსა სწამლობს.

✦ **სასულიერო ლექცია.** საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ ნება დართო დეკანოზს. კ. კეკელიძეს, წაიკითხოს 16 მარტს, საღამოს 7 საათზე, ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში ადვილად გასაგები და უფასო ლექცია შემდეგს თემაზე: „სარწმუნოებრივი გულგრილობა ჩვენს დროში“.

✦ მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად საქართველოს ეგზარხოსმა დანიშნა განჯის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მძინარიშვილი, ნაცვლად დეკანოზ რუსიშვილისა, რომელიც საგურამოში იქმნა გადაყვანილი.

✦ **მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდელი** მ. დევიძე ეგზარხოსის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა დიდომში, მის ნაცვლად დაინიშნა მღვდელი ქუქულაშვილი.

✦ **დაზარალებულთა დახმარება.** მეფის მოადგილის მეუღლის გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვის თაოსნობითა და თავმჯდომარეობით ტფილისში არსდება საგანგებო კომიტეტი, რომლის მიზანიც იქნება შეწირულებათა შეგროვებით დახმარება ალმოუჩინოს 28 თებერვლის ქარიშხლისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულთ. კომიტეტში შევლენ წოდებათა, ეროვნებათა და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

✦ **პედაგოგიური მუზეუმი დაათვალიერეს** გუშინ, დილის 11 საათზე საგანგებო თათბირის წევრებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ამიერ-კავკასიის 1915—1917 წლების საეროებო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში.

✦ **ახალ სასაკლაოს** მომავალ კვირას დაათვალიერებს ქალაქის თვითმმართველობის საგანგებო კომისია, რომელიც შეამოწმებს დღევანდლამდე შესრულებულ სამუშაოს და გამოარკვევს, რამდენი დრო კიდევ არის საჭირო იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომლის შემდეგაც შესაძლებელი იქმნება სასაკლაოს მოქმედების დაწყება.

✦ **შუამდგომლობა.** კორბეულის (შორაპნის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სახელობაზეა დაარსებული, ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობის წინაშე შუამდგომლობს დახმარების აღმოჩენის შესახებ.

✦ **გ. ზ. ქანანოვი**, რომლის პრეტენზიებიც არ დაკმაყოფილა ქალაქის საბჭომ, ახლა სასამართლოში უჩივის ქალაქის თვითმმართველობას.

✦ **ახალი ჟურნალი.** ი. ი. ბაღდასარიანმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დაართოს მას, გამოსცეს ტფილისში ყოველ კვირეული სომხური ჟურნალი, სახელად „მერ გორ“ (ჩვენი საქმე).

✦ **ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის** მთავარმა გამგემ ა. გ. ჯაბადარმა სთხოვა გუბერნატორს დაამტკიცოს წესები შემნახველ-სესხებელ კასისა, რომელიც ამხანაგობასთან უნდა დაარსდეს თვის მოსამსახურეთათვის.

✦ ცხენების ჯირითი ტფილისში 0 აპრილიდან დაიწყება.

✦ მნაცაკანაანთ ხიდი გუშინ ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა: იჯარით აღების მსურველი 19 კაცი იყო. ხიდი დარჩა პ. დ. ვართანიანცს წელიწადში 5,095 მანეთად.

✦ საპოლიტეხნიკუმო ადგილის მოწესრიგების პროექტი ქალაქის გამგეობამ უკვე შეასწორა საფინანსო, სატეხნიკო, სარევიზიო და საუნივერსიტეტო კომისიების შენიშვნების თანახმად. პროექტს გამგეობა დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქის საბჭოს მომავალ კრებას. ეს მოწესრიგება შეეხება იმ 150 დესეტინას, რომელიც უნდა გაიყიდოს. პროექტით 150 დესეტინის დასაგეგმად და ქუჩებისა და წყალსადენის გასაყვანად საჭიროა 82,000 მან.

✦ **სახლი ბავშვთა თავშესაფარისთვის.** ამ დღეებში „კავკასიის კავშირის“ საზოგადოებამ შეიძინა ხარფუხში საქართველოს საეპარქიო სასკოლო საბჭოსაგან სახლი, რომელშიაც ახლა მოთავსებულია საზოგადოების საბავშვო თავშესაფარი. საზოგადოებამ სახლი 5,000 მან. შეიძინა. თავშესაფარში განზრახულია 50 უპატრონო ბავშვის მოთავსება. ამ ჟამად თავშესაფარში 39 ბავშვია.

✦ **სასოფლო მეურნეობის** ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი ამ ჟამად მასალებს აგროვებს სასოფლო მეურნეობის ინსპექტორთა მეორე თათბირისთვის, რომელიც 15 აპრილს დაიწყება პეტერბურგში, მიწათმოქმედების დეპარტამენტთან. თათბირის საგანია გამოარკვიოს საერთოდ მთელის რუსეთისა და კერძოდ ციმბირისა, თურქესტანისა და ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის საჭიროებანი.

✦ **სამგრომიო თათბირის** დავალებით ბაღოსნობა-მევენახეობის სექცია ამ ჟამად ადგენს პროექტს ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიისას, რომელიც გამოარკვევს მეღვინეობის საკითხებს. ლაბორატორიის დაარსება განზრახულია კახეთში. ლაბორატორიასთან განზრახულია დაარსდეს ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური განყოფილება ღვინისა და მაჭრის გასაკვლევად.

✦ **ქალაქის ლომბარდის** 1913 წლის საფინანსო ანგარიშის რევიზია საგანგებო კომისიამ უკვე დაასრულა და შესაფერი მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომელმაც დაადგინა, მოხსენება განსახილველად წარუდგინოს საბჭოს 17 მარტის კრებას.

## ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი).

(დასასრული *)

გრაფი ნესსელროდე თავის წერილში მხოლოდ პატივებას ჰპირდებოდა ალექსანდრეს და არა საქართველოს ტახტს, რასაც უკანასკნელი თხოულობდა, ეს კი მისთვის ძლიერ ცოტა იყო. ამისათვის ალექსანდრემ ხელ-ახლავ გამართა მოლაპარაკება სპარსეთთან. თანაც უნდოდა, ესარგებლა ნესსელროდესაგან მიღებული წერილით და ამისათვის მისწერა მთავარ-მართებელ რტიშჩევს: ვინაიდან მომეტებული ნაწილი ჩემის ამალისა, ქართველნი თავად-აზნაურნი, დატოვებთლი არიან ჩემ მიერ სპარსეთში, იმყოფებიან თავრიზში და ერევანში, მინდა მათ ვაცნობო იმპერატორის წყალობა, რათა მათ ისარგებლონ ამით, ამისათვის ვითხოვ რათა ნება მომცეთ, სპარსეთში კაცები გავგზავნო და ეს უმაღლესი მოწყალება მათ გამოვუცხადო.

რტიშჩევმა მხოლოდ ეხლა გაიგო, ამ წერილიდან, რომ ალექსანდრეს პეტერბურგში მოლაპარაკება ჰქონდა გამართული, მისდა გაუგებლად. ეს მას ძალიან ეწყინა.

ამის გამო რტიშჩევმა უქვეშევრდომილესი მოხსენება გაგზავნა პეტერბურგს, ალექსანდრეს განზრახვებს ამჟღავნებდა და ახასიათებდა იმ პირებსაც, რომელთა საშუალებით მან მოლაპარაკება გამართა გარეშე საქმეთა მინისტრთან.

„პრაპორჩიკი ყორღანოვი, სწერდა რტიშჩევი,—გარდა თავის ახალგაზდობისა და მსუბუქკუობისა, ცნობილია მთელ საქართველოში ცუდ ყოფა-ქცევით და მეტად გარყვნილი ზნეობითა, რომელიც არა ერთხელ ყოფილა დასჯილი და ეკლესიის მონანების ქვეშ. იმდენად საზიზღარია, რომ თითონ ქართველები გარბიან მისგან. შარშან კეთილშობილ თა საზოგადოებაში, თავად-აზნაურობის არჩევნების დროს, აღუკრძალეს მას ხმის მიცემა და კენჭის ყრის უფლება. ასეთი ხასიათის კაცმა, რომელიც დაკარგულად ითვლება თავის სამშობლოში თავს იდვა პეტერბურგში წასვლა და საქმეების გაკეთება.“[1])

ყორღანოვმა მართლაც რომ ვერაფერი გააკეთა, გარდა იმისა, რომ დელპოცცოს 11,000 მანეთი დააკარგვინა უბრალოდ, რომლის მომეტებული ნაწილი თითონ ჩაჯიბა, ალექსანდრე მაინც დაღესტნის მთებში დარჩა და დროს ურჩევდა სპარსეთში გადასულიყო.

12 ოქტომბერს 1816 წელს გენერალმა რტიშჩევმა სამსახური მიატოვა, თანახმად თავისი თხოვნისა, და მის მაგიერ საქართველოს მთავარ-მართებლად დაინიშნა გენარალ-ლეიტენანტი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი.

როდესაც მთავარ-მართებელმა ერმოლოვმა განსაკუთრებული ყურადღება კავკასიის მთის მცხოვრებთ მიაპყრო და დაღესტანში ჯარი შეიყვანა, მაშინ კი დარწმუნდა ალექსანდრე, რომ იქ აღარ დაედგომებოდა და ამისათვის გადასწყვიტა მიეტოვებინა დაღესტანი და დაქირავებული ლეკების შემწეობით ჭარის მიწები გადაევლო და სპარსეთში ან ოსმალეთში გადასულიყო. როდესაც ერმოლოვმა ალექსანდრეს ეს განზრახვა გაიგო, მაშინვე უბრძანა გზები შეეკრათ, რომ ალექსანდრე სპარსეთისაკენ არ წასულიყო.

ყარაგაჩიდან მთელი ნიჟეგოროდის პოლკი დაიბარა და უბრძანა მდ. ალაზანზე ყველა ფონები დაეჭირათ. ჭარელებს, რომლის მიწებზე ალექსანდრეს უნდა გაევლო, ველიამინოვმა მისწერა: „ბატონიშვილის გავლა შეიძლება მხოლოდ ჭარის სამფლობელოზე, სხვა ადგილს კი შეუძლებელია. გაფრთხილებთ თქვენ, რომ იმ მრავალ თქვენ დანაშაულობას არ მიუმატოთ კიდევ ის დანაშაული, რომ გავუშვათ ალექსანდრე თქვენს ადგილებზე. თქვენ უწყით მთავარ-მართებელის წესდებები, ამისათვის, ერიდეთ ქვეშევრდომულ ერთგულების მოვალეობათა დარღვევას. თუ ვინიცობაა არის გაბედავთ და ბატონიშვილს გაქცევაში დაეხმარებით, სასტიკი და აუშორებელი სასჯელი მოგელით, თქვენა და თქვენ ოჯახებს“.

ერმოლოვს ამნაირად უნდოდა, როგორმე ალექსანდრე ხელთ ეგდო, მაგრამ მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

1818 წელს, ივლისში, ბატონიშვილი დაღესტნიდან წამოვიდა, გამოვიდა მტკვარზე მცხეთის ახლოს დემურჩალასთან, მცველი ლეკები უკან დააბრუნა და თითონ კი თორმეტი ქართველის თანხლებით მამაცურად დაადგა დიდ გზას, თავისუფლად გაიარა ყაზახთა რუსების სადარაჯო ბინებთან, სადაც ისვენებდა, ებაასებოდა ყაზახებს და არავის მათგანს კი ფიქრადაც არ მოსვლია რომ ეს ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, რომლის საყარაულოდ ისინი იქ იყვნენ დაყენებული და რომლის ხელჩასაგდებლად არა ერთი ღამე თეთრად გაუთენებიათ. ალექსანდრე ადვილი საცნობი იყო. სამგზავრო ბარგით, ცხენოსანი მცველების მტვრიანი ტანისამოსებით. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ეს ვინმე საპატიო პირი უნდა ყოფილიყო და შორიდან მომავალი.

ეს საყარაულოები ეჭირა დონის ყაზახთა პოლკს, ვოისკოვოი სტარშინა ტაბუნშჩიკოვის უფროსობით. ესენი მთელი სპარსეთის საზღვრებს იცავდნენ.

მცველების უთაურობა მით უფრო გასაკიცხი იყო, რომ ალექსანდრემ შუადღისას გაიარა თითონ ტაბუნშჩიკოვის სახლთან—ყველა ყაზახების თვალთ წინ, რომლებიც იმ დროს სიმღერაში იყვნენ გართულნი. ეს მოხდა 26 აგვისტოს.

ალექსანდრემ გადაიარა საზღვრები ჰუსეინ-ხანის პოსტთან, შემოუარა თოფორვანის ტბას და ახალციხის მხარეს გადავიდა სოფ. ხერთვისში.

ყაზახებმა ალექსანდრეს გავლის ამბავი გაიგეს მხოლოდ მეორე დღეს, ერთი თავ. აღათაშვილის სიტყვით.

ეს თავადი ალექსანდრეს ამალს ეკუთნოდა. გზაში სადღაც ნაიესავთან შეევლო, უკან ჩამორჩენილიყო და ყაზახებმა საზღვარზე დაიჭირეს.

„მეტად ვწუხარო, სწერდა ერმოლოვი, რომ დონის ყაზახების უთაურობამ გააქარწყლა მთავრობისაგან მიღებული ყველა კეთილ-გონივრული საშუალებანი... არაფერი ისე არ ამტკიცებს მათ საძაგელ და უთაურ სამსახურს საქართველოში როგორც ბატონიშვილის ალექსანდრეს გაქცევა... განა მის შემდეგ, რაც ალექსანდრემ თორმეტი კაცის თანხლებით გაიარა რამდენიმე პოსტი და თითონ პოლკის ბინებთან, შეიძლება კიდევ მაგათი საქმის მინდობა“...

ერმოლოვმა ტაბუნშჩიკოვს პოლკი ჩამოართვა. იმ აფიცერს, რომელსაც დემურჩალოსთან მტკვარზე ფონი უნდა დაეჭირა და დროზე არ დაიჭირა—ციხეში ჩასვა ტფილისში. ასევე ბედი ეწია იმ აფიცერს, რომელიც საზღვარზე ჰუსეინ-ხანის პოსტის უფროსად იყო. თავადი აღათაშვილი ჯერ ციხეში ჩასვეს და მერე ციმბირში გაგზავნეს. თუ კიდევ ვინმე ალექსანდრეს ამალისა დაიჭიროთ, სწერდა ერმოლოვი, თავად-აზნაურის წოდებისა ციმბირში გაგზავნეთო, გლეხთა წოდებისა ჯარის-კაცად ჩარიცხეთ, ლეკები კი—ჩამოახრჩეთო.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ოსმალეთის სამფლობელოში იმყოფებოდა, რუსის მთავრობამ მაინც მოიწადინა მისი დაჭერა. გადასწყვიტეს შეედგინათ დიდძალი ცხენოსანი რაზმი თათრებისა და ყაზახებისა და ალექსანდრეს დასცემოდნენ, როდესაც ის ოსმალეთის საზღვრებიდან სპარსეთში გადავიდოდა.

არა უშავსო, სწერდა ერმოლოვი, თუ ალექსანდრეს ოსმალეთის მიწა-წყალზე შევიპყრობთ, მხოლოდ ეცადეთ როგორმე ოსმალებმა დაიჭირონ უჩვენოთაო. ეცადეთ ბატონიშვილი ცოცხლად ჩაიგდოთ ხელში. მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში შეგიძლიანთ მოჰკლათო ასე რომ ტფილისში თითქმის ალექსანდრეს დამარცხების წესრიგის შემუშავებასაც კი შეუდგნენ, მაგრამ ყველა ამ მზადებამ ამაოდ ჩაიარა.

1819 წელს იმერეთის ამბოხების დროს, როდესაც საქმე იქამდის მივიდა, რომ იმერლებმა მეფესაც დაუწყეს ძებნა, ალექსანდრე ახალციხეში სოფ. ხერთვისში იმყოფებოდა. იმერეთის წარჩინებულნი მეფედ ზოგი ზურაბ წერეთელს ასახლებდნენ, ზოგნი მის შვილს გრიგოლს, ზოგნი თავ. ივანე აბაშიძეს—დარეჯან დედოფლის შვილს, მომეტებული ნაწილი კი მომხრე იყო ალექსანდრე ბატონიშვილისა. ყველაზე უფრო ივანე აბაშიძე იყო ალექსანდრეს მომხრე. მასს დეპუტაცია გაუგზავნეს ახალციხეს და იმერეთის ტახტზედ იწვევდნენ. ალექსანდრემ იმერლებს შეუთვალა, მზათ ვარ თქვენი თხოვნაზე დავთანხმდე, თუ მე ვიქნები არჩეული არა მარტო ზოგიერთი თავად-აზნაურებისგან, არამედ ყველა წარჩინებულ პირთაგან, სამღვდელოებისა და აგრედვე იმერეთის მახლობელ მთავრებისაგანაც.

1819 წელს, იანვარში ოსმალებმა ალექსანდრე ერივანში გაისტუმრეს, თანაც დიდძალი მცველ ები გაატანეს.

ერევნის ხანმა მის შესახვედრად ჯარი გაგზავნა და თითონაც ქალაქის გარედ შეხვდა უდიდესი პატივით. ასეთივე პატივით, და დიდებით შეხვდა ალექსანდრეს თავრიზში აბბას-მირზაც.

1826—28 წლებში რუსს-ოსმალეთის ომის დროს, ალექსანდრე და ძმა მისი ბატონიშვილი ვახტანგი ქობულეთში იყვნენ. მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული კნ. სოფიო გურიელთან და მისი შემწეობით იმერეთის და სამეგრელოს აღელვებდნენ და უნდოდათ ოსმალეთის მხარეს გადაებირებინათ, მაგრამ არა გამოდიოდა რა.

აბბას-მირზას კიდევ დიდი იმედი ჰქონდა ალექსანდრესი. მას ეგონა, ალექსანდრე კიდევ შესძლებდა ქართველების აჯანყებას და როგორც გავლენიანი პირი კიდევ მიიმხრობდა თავისაკენ როგორც ოსმალებს ისე სპარსელებს. აბბას-მირზა იმასაც ცდილობდა, რომ ალექსანდრეს ცოლი შეერთო და მემკვიდრეებიც დარჩენოდა. ალექსანდრეს სპარსეთის მთავრობამ საცხოვრებლად მიუნიჭა მდიდარი დარალაგეზის ოლქი, რომელიც ყარაბაღის ახლო იდო.

ალექსანდრემ თითქმის გაათავა თავისი მოღვაწეობა. დიდი ხნის დაუღალავმა შრომამ და წვალებამ მოსტეხა მისი ენერგია. ბოლო დროს გადასახლდა თავრიზში და იქ სცხოვრობდა 1844 წლამდის. ამ წელს 73 წლის მოხუცი ალექსანდრე გარდაიცვალა შორს—საყვარელ სამშობლო მხარედან. მისი საფლავი ეხლაც არის შახ-აბდულ-ამაზის უბანში.

ავ. აბესაძე.

*) იხ. „სახ. გაზ. № 1139.

1) უქვეშევრდომილესი მოხსენება 3 ეკენისთვეს 1816 წ. № 106, პოტტო, ტ. 2, გვ. 515.

◆ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** ტფილისის ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე ე. ფაილაძე, ძლიერ სიღარიბეშია. ყმაწვილი ჭლექითაა ავად, არავითარი სახსარი არამც თუ სამკურნალო, არასარი საცხოვრებელიც არ მოეპოვება. დახმარების გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: ნაძალადევი, სტავროპოლის ქუჩა, სახ. № 7., ბინა № 7.

◆ **მდაბიო მოქალაქეთა შორის.** 13 მარტს პირველ საარჩევნო უბნის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრება მოხდა. პირველ რაიონში შედის პირველი, მეორე და მესამე საპოლიციო უბნები და საბურთალო. რწმუნებულნი არჩეულ იქმნენ სამის წლით (1914—1916 წ.). არჩეულ იქმნა 18 კაცი: ს. გ. ტარუაშვილი, ა. ა. მინდიაშვილი, თ. კორინშტეინი, ე. გ. ოქროპირიძე, ი. ნ. მერკვილაძე, ი. ე. გაიდუკოვი, გ. ს. მებურნუთოვი, ვ. ი. პიგარევი, მ. გ. ბელიაევი, მ. ე. ჩიმიშქიანი, ი. ი. ფარსეგოვი, გ. ხატიაშვილი, მ. ი. ბელიაევი, ი. დ. კიკნაძე, მ. მერკვილაძე. ა. ე. შარაფიანცი, ო. ვ. ოსეფიანცი და გ. ვარძიგულოვი.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს** მომავალ კრებას, რომელიც 17 მარტისთვის არის დანიშნული, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება საკითხები სამის ახალის საქალაქო სკოლის დაარსებისა და ქალაქის მოურავად ნამყოფ ა. ს. მატინოვის ძეგლის დადგმის შესახებ.

◆ **წ.-კ. გამავრცელებელ საზ.** გამგეობამ, როგორც ვწერდით, მუხლ-მუხლად განიხილა 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა კიდეც. ამის და მიუხედავად სექციები ხელ-ფეხ შებორკილნი არიან და დღემდე მუშაობის დაწყება არ შეუძლიათ, რადგანაც ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადო კრებას ჯერ არ დაუმტკიცებია და ხელში საჭირო ფული არა აქვთ. საზოგადო კრების მოწვევა მხოლოდ მაისისთვის არის განზრახული, რის გამოც, უნდა ვიფიქროთ, სექციების მუშაობის დაწყება ერთობ დაგვიანდება და ნამუშევარიც ნაყოფიერი არ იქნება.

◆ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოების** წევრთა მორიგი კრება დანიშნულია დღეისთვის, საღამოს 8 საათზე. კრება, სხვათა შორის, მოისმენს ექიმების ნ. ა. ატენიანცისა, ნ. ნ. ვესელევზოროვისა, ი. ნ. ელიაზაროვისა და ა. გ. გურკოს მოხსენებას სპეციალურ საგნებზე.

◆ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა კრება დანიშნულია 16 მარტისთვის, დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში. განსახილველი საგნები: 1) 1913 წ. მოქმედების ანგარიში, 2) გამგეობის მოხსენება სტიპენდიებისთვის საგანგებო ფონდის შექმნის საჭიროების შესახებ და 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

◆ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული იმ მცირე კომისიის მოხსენების განსახილველად, რომელმაც ქალაქის თვითმმართველობის სამიწისზომლო რევიზია მოახდინა.

◆ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა საერთო კრება დანიშნულია 16 მარტისთვის, დილის 10 საათზე, სარევიზიო კომისიის წევრთა ამარჩევად.

## სასწავლებლებში

◆ **ქართულ საქალებო ტიპის შემმუშავებელ კომისიის** მერვე კრება 13 მარტს მოხდა. კომისიამ მოისმინა დაწვრილებითი მოხსენება თვის მუშაობის შესახებ. მოხსენება დაიბეჭდება და განსახილველად თავადაზნაურთა მომავალ კრებას წარედგინება. მოხსენებიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ სკოლისთვის თავადაზნაურობას ყოველწლივ დასჭირდება 25,000 მან., ხოლო 18.000 მან სწავლის ფულისაგან შემოვა.

◆ **ახალი ქართული სკოლა** ახალციხის მაზრის ს. აშურაში, რომელიც ერთ დიდს სოფლად ითვლება მთელს მაზრაში, ქართველი მაჰმადიანნი მოსახლეობენ, ქართული სკოლა კი არ მოიპოვებათ. ამის გამო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების ახალციხის განყოფილებამ განიზრახავს ამ სოფელში სკოლა დააარსოს. შესაფერი შუამდგომლობა განყოფილებას უკვე აღუძრავს.

## ქუთაისი

◆ გუშინ ექიმმა ქ. ტყეშელაშვილმა სამიწათმოქმედო სამინისტროდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

სამინისტრო პრინციპიალურად თანახმაა მისცეს სამელიორაციო თანხიდან 200,000 მანეთის სესხი მალლაკ-ფარ ხანაყანევის საზოგადოებას სარწყავი არხის გასაყვანად. ამასთანავე სამინისტრო თხოულობს ზოგიერთ დამატებითი ცნობას.

◆ ხმა დადის, ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი სლავოჩინსკი თურქესტანის ოლქის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნაო. ქუთაისის გუბერნატორად კი აქაური ვიცე-გუბერნატორი—ბ. მაკაროვი.

◆ 7 მარტის სხდომაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა, თვითონ დაამუშაოს ეკლნარის ქვის სატეხი, რომელიც წინად იჯარით ჰქონდათ აღებული დავით პატარიძეს და გიორგი როინიშვილს. ტეხნიკურ ნაწილს განაგებს ინჟინერი ფრიკი. სამეურნეო ნაწილს—მიწის მზომელი თ. ტატარენკო.

◆ დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წევრები ა. საყვარელიძე და ე. ნიკოლაძე ხალ-სენაკში სიმინდის სასყიდლად წავიდნენ.

## სომხთა ცხოვრება

◆ ამ დღეებში გაიმართა კრება სომხურ მუსიკალურ საზოგადოების წევრებისა. კრებამ განიხილა გასული წლის ანგარიში. საზოგადოებას ჰყოლია 73 წევრი. წლის განმავლობაში საზოგადოებას გაუმართავს ორი საჯარო კონცერტი. 1914 წლის დამდეგს კასაში ჰქონია 800 მან., წელს მთელის შემოსავალს 1682 მან.

◆ აქამდის სომხებს სპარსეთის მეჯლისში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავდათ, ეხლა თხოულობენ მათ ექვსი ადგილი მისცენ.

◆ მოსკოვის შენიავსკის სახალხო უნივერსიტეტში არსდება სომხის სტუდენტთა საზოგადოება.

## თელავი

◆ **პოლიციელთა და ყაჩაღთა შეტაკების დროს** დაჭრილ იქმნენ მძიმედ სოფლის ჩაფარი ბაზარაშვილი და საპოლიციო ჩაფარი როგოვენკო და მოკლულ იქმნა ცნობილი ყაჩაღი შათირიშვილი.

◆ **შეიარაღებული თავდასხმა** ს. ტეზში ვიღაც შეიარაღებული უცნობნი თავს დაეცნენ თვის ბინაზე თუშიშვილის მებაღეს ნ. ლ. ხვადაგიანს, რომელსაც ასი თუმანი მოსთხოვეს. მებაღემ უარი უთხრა, ფული არა მაქვსო. უცნობებმა გასტეხეს ყუთი, აჰიღეს 48 მან., უბრალო ქამარი და ხანჯალი და გაიქცნენ. უცნობთ პოლიცია დაედევნა და შეიპყრო. ისინი აღმოჩნდნენ: ილო კეკნაძე, ვასო ტოტოშაშვილი და მიხა გოჩიაშვილი.

## რკინის-გზებზე.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** უფროსს გენერალ-მაიორს ვასილევსკის შეუმჩნევია, რომ რკინის გზის მოსამსახურენი სამსახურის აღსრულების დროს ხშირად ფორმის ტანისამოსს არ ატარებენ, რაიც უფროსის აზრით ყოვლად შეუფერებელი და არა სასურველია. ამის გამო უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც მოსამსახურეთ ვალდებულჰყოფს სამსახურის აღსრულების დროს აუცილებლად ფორმის ტანისამოსი ატარონ; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამსახურენი სასტიკად დაისჯებიან.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**როსტოვი.** როსტოვის სარაიონო კომიტეტმა ერთხმად დაადგინა: გაკეთდეს ქიათურის რკინის გზა ფართო ლიანდაგად. გაკეთდეს და გაფართოვდეს ლიანდაგიდან მისასვლელი გზები სადგურ ქიათურიდან ყვირილის მთა-გორიან ადგილებამდე. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს გეგმა ხონსა და სამტრედიის შუა რკინის გზის გაყვანის შესახებ მოიწონა.

## ტფ. ქალაქის საბჭო

**13 მარტის კრება.**

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის ჰოურავის მოადგილის **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

მდივანი კითხულობს წარსულ კრების ოქმს, რომელსაც საბჭო უცვლელად ამტკიცებს.

**თავმჯდომარე.** როგორც იცით, წინა კრებას ქალაქის მდივნად არჩეულ იქმნა ა. ი. სტავროვსკი, რომელსაც ამოუვიდა 38 თეთრი და 28 შავი კენჭი, სულ 66 კენჭი. ამ არჩევნების გამო ხმოსანმა გალსტიანმა წარმოგვიდგინა და გვთხოვს, კრების ოქმთან ერთად გუბერნატორს გავუგზავნოთ. ბ-ნ გალსტიანს არჩევნები უკანონოდ მიაჩნია და მის გაუქმებას თხოულობს, რადგანაც კრებაზე სულ

„სახალ. გაზეთის“ კანტორა
მოაგონებს წლიურ ხელის მომწერთ,
რომ მეორე ვადა ფულის შემოტან
1 აპრილამდეა.

64 ხმოსანი იყო და ა. ი. სტავროვსკის ყუთში კი 66 კენჭი აღმოჩნდაო, მაშინ როდესაც მეორე კანდიდატის ს. შაუმიანის ყუთში 63 კენჭი იყო, ხოლო მესამის სტაროსელსკისაში 64 კენჭიო. ბ-ნი გალსტიანი ამბობს, შაუმიანის კანდიდატურა არჩევნების დღეს პირველად იქმნა წამოყენებული, ამიტომ მე მოვითხოვე კრების დროებით შეწყვეტა ამ ახალ კანდიდატის თაობაზე მოსალაპარაკებლად მაგრამ თხოვნა არ იქმნა შესრულებული და ამით დაირღვა ჩემი უფლება, როგორც ხმოსნისაო.

**ხმები:** ოქმთან ერთად გალსტიანის განცხადებაც წარუდგინეთ გუბერნატორს.

**თავმჯდომარე.** გალსტიანის განცხადების გამო საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: 10 მარტის კრებას ალბად 66 ხმოსანი დაესწრო, რადგანაც ამ დღეს ჩვენ კენჭი ვუყარეთ მეორე საკითხსაც მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ და ყუთში კიდევ 66 კენჭი იყო, როგორც სტავროვსკის არჩევის დროს. ამას გარდა სენატმა განმარტა, რომ არჩევნები უკანონოდ არ უნდა ჩაითვალოს, როდესაც ყუთში ჩაგდებული კენჭის რიცხვი ხმოსანთა რიცხვს არ შეეფერება, თუ ამ განსხვავებას არჩევნების შედეგზე, გავლენა არა აქვს.

**ხმ. თოიძე.** შარშან ჩემის მოთხოვნით ღარიბთა სახლისთვის ქართული გაზეთებიც გამოიწერეს. წელს აღარ იწერენ. რით ავხსნათ ეს?

**თავმჯდომარე.** ამ კითხვით უნდა მიგემართნათ ღარიბთა სახლის გამგე კომისიის თავმჯდომარისთვის. ასეა თუ ისე ახლა ჩვენ შევეკითხებით და ვთხოვთ ქართული გაზეთები გამოუწეროს ღარიბთა სახლს.

**დახმარება დაზარალებულთა.**

**ხმ. ბალდასაროვი.** ყველამ კარგად იცით, რომ საშინელმა ქარიშხალმა რუსეთის ზოგიერთი ადგილებს დიდი უბედურება მიაყენა. საჭიროა, ჩვენდა ქალაქის თვითმართველობამ დაზარალებულთ შემწეობა აღმოუჩინოს.

**თავმჯდომარე.** ეს საკითხი დღევანდელ სიაში არ არის, ამიტომ მომავალ ორშაბათისთვის ჩვენ თითონ შევიტანთ განსახილველ საგანთა სიაში.

**ხმ. ბაბოვი.** ჩვენ წინადაც გადავდეთ ფული სხვა დაზარალებულთა სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენი დადგენილება საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ გააუქმა, ქალაქის თვითმმართველობა მხოლოდ თვის მოქმედების რაიონს უნდა ემსახურებოდესო.

**ხმ. მიტკევიჩი.** დღევანდელი შემთხვევა განსაკუთრებულია და სწორედ ეს გარემოება მოითხოვს, რომ ფორმალურს მხარეს ყურადღება არ მივაქციოთ და საკითხი ახლავე გადავწყვიტოთ, რადგანაც დაგვიანებული შემწეობა შეიძლება სულ უსარგებლო გამოდგეს. ფორმალურ მხარის დარღვევისათვის პასუხის-მგებლობას ამ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ.

**თავმჯდომარე.** პასუხის მგებლობას მე ვკისრულობ, როგორც თავმჯდომარე.

საბჭო დასასრულ იმ აზრს ადგება, რომ გადასდოს დაზარალებულთა სასარგებლოდ 1,000 მან. და ეს დადგენილება მომავალ ორშაბათს ფორმალურად დაადასტუროს.

**ხორცის ნიხრი.**

როგორც ვწერდით, სამეურნეო კომისიამ ხორცის ნიხრს მოუმატა. ახლა ნიხრს გამგეობა საბჭოს უდგენს დასამტკიცებლად.

ეს საკითხი საკმაოდ ხანგრძლივ კამათს იწვევს. ხმოსნებს აოცებს ის გარემოება, რომ სამეურნეო კომისია ნიხრს თანდათან ადიდებს და როდის ექნება დასასრული ამ მომატებას, არავინ იცის.

**ხმ. ბაბოვი.** ნეტავ რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს სამეურნეო კომისია, როდესაც ნიხრს ადიდებს? ამბობს, ნიხრს ვადიდებთ იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვსო, მაგრამ რა ცნობებია ეს, საიდან არის მიღებული, არავინ იცის. შეუძლებელია ასეთი მოქმედება.

**ხმ. ქსავერიევი** კითხულობს, როდის განხორციელდება ქალაქის საბჭოს სურვილი იმის შესახებ, ნიხრი სრულიად გაუქმდესო.

საბჭო დასასრულ იძულებულია დაამტკიცოს [illegible] ახალი ნიხრი, რომლითაც გინქა ხორცი უნდა გაიყიდოს: ძროხისა—15 კ., ნაცვლად ახლანდელ 1., ცხვრისა—18 კ., ნაცვლად 17 ღორისა (უტყაო)—14 კ., ტყავით 13 კ. და კამეჩისა—9 კაპ.

**იაფ ვაჭრობამართვის წესები.**

მკითხველებმა იციან, რომ ბევრი სავაჭრო დაწესებულება ხშირად იაფ ვაჭრობას აცხადებს და კარგ საქონელთან ერთად უვარგისს დამპალსაც ასაღებს. ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა ქალაქში არსებს სავალდებულო დადგენილებანი რომელიც ტფილისშიაც არის. ქალაქის გამგეობას ამ დადგენილებაში ცვლილებანი შეუტანია დასამტკიცებლად საბჭოს წარმოუდგინა. საქმის ვითარება ასეთია: ნონით ვაჭარს ნება აქვს, იაფი ვაჭრობა წელიწადში ერთხელ გრთოს, სახელდობრ წმ. თომას კვირას („ფომინობას“). ამისი ნება აქვს მაშინ, როდესაც საგანგებო კომისია ნებას დართავს (ერთ შენობიდან მეორეში გადასვლის დროს, ვაჭრობის ლიკვიდაციის დროს და სხვა ასეთს შემთხვევებში) გამგეობას საჭიროდ უცვნია, ვაჭარს წელიწადში კიდევ ერთის კვირით მიეცეთ იაფ ვაჭრობის ნება, მხოლოდ კომისიას კი აცნობონ ამის შესახებ.

ხმოსანთა ერთი ნაწილი წინააღმდეგია ამის. რახან იაფი ვაჭრობის გამოცხადება ბოროტებად მიგვაჩნია, ამას ხეც უნდა ვებრძოლოთ და საშუალება არ უნდა მივცეთ ასეთ ვაჭრის ხშირად გამართვისა. ამ ხმოსანთა აზრს არ იზიარებენ ხმ. ი. დოლუხოვი, და ა. მილოვი.

საბჭო ხმის უმეტესობით გამგეობის წინადადებას იღებს.

**ტრამვაი და ქალაქი.**

მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის გამგება სატრამვაიო კომისიის მოხსენების თანახმად ტრამვაის დირექციას ჯარიმებს ადებს, სხვათა შორის, ვაგონთა საკმარის რიცხვის უქონლობისთვის. ტრამვაის დირექციას ხუთ შემთხვევაში ჯარიმა უკანონოდ უცნია და გამგეობას ქალაქის საბჭოსთან უჩივლია. ამ ხუთის შემთხვევისთვის ქალაქის გამგეობას დირექცია დაუჯარიმებია 72,300 მან. გამგეობა დაუდგენია, ეთხოვოს ქალაქის საბჭოს, რათა დირექციის საჩივრები ყურადღებოდ დასტოვეს, განსაკუთრებულს აზრს დადგომია გამგეობის მხოლოდ ერთი წევრი მ. ნ. ათაბეგოვი, რომლის აზრითაც დირექციის მეხუთე საჩივარი, რომელიც უდრის 12,300 მან., საფუძვლიანია.

**მ. ნ. ათაბეგოვი.** საფუძვლიანად მიმაჩნია შემდეგ მოსაზრებებით: პირველ ოთხს შემთხვევაში ვაგონთა საკმარისი რიცხვი არ მუშაობდა იმის გამო, რომ დირექციას საკმარისი ვაგონები არა აქვს, როგორც ამას მოითხოვს ხელშეკრულობა. მეხუთე შემთხვევა კი გამოწვეულია ტრამვაის საელექტრონო სადგურზე ერთის მანქანის მოულოდნელად გაფუჭებით. მანქანის დასათვალიერებლად ჩვენი ტეხნიკოსებიც გავგზავნეთ და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამ შემთხვევისათვის დაჯარიმების უფლება ხელშეკრულობით არა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ეს საკითხი გადავსცეთ სატეხნიკო და საიურიდიო კომისიის შეერთებულ კრებას.

**მ. მიტკევიჩი.** ჩვენ ერთობ დიდი უფლებები გვაქვს იმისა, რომ ტრამვის დირექცია ხელშეკრულობის ყოველ დარღვევისათვის შესაფერად დავსაჯოთ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფლებაა გადაჭარბებაც არ ვარგა. თქვენ დაჯარიმებიათ დირექცია, რომელიც ჩვენთან ჩივის. თქვენ გვეუბნებით, საჩივარი უყურადღებოდ დასტოვეთო. ასე შეუძლებელია. არ ვიცით, რისთვის დააჯარიმეთ დირექცია და რისთვის ჩივის და ჩვენ რა უნდა გადავწყვიტოთ. გამგეობას ვსთხოვ, მომავალში ასეთ საჩივრების დროს დაბეჭდილი მოხსენებები წარმოგვიდგინოს ხოლმე.

**ხმ. ბაბოვი.** მ. ათაბეგოვის აზრს ვერ გავიზიარებ. მეც დავათვალიერე საელექტრონო სადგური და დავრწმუნდი, რომ მანქანას ისეთი მცირე ზიანი ჰქონდა, რომ მანქანის გაჩერების თავიდან აცდენა შესაძლებელი იყო. ისეც არ იყოს, დირექცია მოვალეა, სათადარიგო მანქანა იქონიოს.

საბჭო პირველ ოთხს საჩივარს უყურადღებოდ სტოვებს, ხოლო მეხუთე საჩივარის შესახებ ადგენს, გადასცეს იგი სატეხნიკო კომისიას, რომელიც შემდეგ მთელს მასალას საიურიდიო კომისიას წარუდგენს.

**ქანანოვის პრეტენზიები**

ქანანოვის პრეტენზიებს გრძელი ისტორია აქვს. გ. ზ. ქანანოვი ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწედ იყო და ორის წლის წინად დაითხოვეს. დათხოვნა ქალაქი გამგეობამ ამით დაასაბუთა, რომ ქანანოვმა საქალაქო ფული გაფლანგაო. ქანანოვი ახლა სამართალშია მიცემული და მის საქმე გამომძიებლის ხელშია. სამსახურიდან დათხოვნის დღიდანვე ქანანოვმა ქალაქის გამგეობას მოსთხოვა ფული, რომელიც ამის აზრით გასამრჯელოდ ეკუთვნოდა ეკუთვნოდა როგორც ქალაქის იურისკონსულტს, თანახმად ქალაქის გამგეობასთან დადებულ პირობისა. გამგეობამ თხოვნა არ დააკმაყოფილა და აი ქანანოვმაც გამგეობის დადგენილება საბჭოში გაასაჩივრა. აგერ წელიწადზე მეტია ეს საკითხი, რომელსაც დაერქვა „ქანანოვის პრეტენზიები“, ხან მოხსენებულია საბჭოს მიერ განსახილველ საგანთა სიაში და ხან მცირე ხნით იქ აღარ არის აღნიშნული. ქანანოვმა მრავალჯერ იჩივლა გუბერნატორთან, ჩემი საჩივრის განხილვას ბოლო აღარ ეღება და ქალაქის გამგეობას წინადადება მიეცი ხელოვნურად აღარ დააბრკოლოს ამ საკითხის განხილვაო. ქანანოვის პრეტენზია სულ რვა არი და უდრის 25,000 მან. შარშან საბჭომ პრეტენზიები განიხილა და საიურიდიო კომისიას გადასცა თვის აზრის წარმოსადგენად. საიურიდიო კომისიას პრეტენზიები უსაფუძვლოდ უცვნია გარდა ერთისა, რომელიც 3,000 მან. უდრის. კომისიის უმცირესობას კი ეს პრეტენზიაც უსაფუძვლოდ უცვნია. უმცირესობას ქალაქის გამგეობაც მიმხრობია.

**ხმ. ბაბოვი.** ამ საკითხის განხილვას არა ეშველა რა. თუ ღმერთი გრწამთ, რითიმე გაათავეთ საქმე.

საბჭო ხმის უმეტესობით უსაფუძვლოდ აღიარებს ქანანოვის ყველა რვა პრეტენზიას, თანახმად გამგეობის წინადადებისა.

## კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვა

რამდენიმე დღის წინედ დაიწყო კრებები გუბერნატორებისა, მათი თანაშემწეებისა, მეფის მოადგილის კანცელარიის სხვადასხვა განყოფილების წარმომადგენლებისა და აგრეთვე წოდებათა წარმომადგენლებისა. უკვე სამი კრება მოხდა.

პირველ კრებაზე (11 მარტი) განხილული იქნა 1915—1917 წლების საერობო ხარჯთ-აღრიცხვისა და საგუბერნიო საერობო ბეგარის განაწილების გეგმასთან დაკავშირებული განმარტება კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრის ნ. ჟუნკოვსკისა. ამავე დღეს განიხილეს 1910—12 წლებში საერობო ხარჯთ-აღრიცხვის ვითარება.

მეორე დღეს განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვის პირველი სამი მუხლი. პირველი მუხლში აღნიშნულია, თუ რითი გამოიხატება ერობის თანხების მონაწილეობა „მთავრობის დაწესებულებათა ხარჯებში. საერთოდ აღნუსხულია 269,913 მან. წინა წლებში ამგვარი ხარჯი 5,153,061 მან. უდრიდა. ასეთი განსხვავება თანხებში იმით აიხსნება, რომ საერობო ხარჯთ-აღრიცხვიდან ამიერ კავკასიის საპოლიციო დარაჯების შესანახი 4 მილიონი მანეთი გამორიცხულია.

მეორე მუხლში აღნუსხულია საერობო გამგეობის შენახვა. ხარჯი ნავარაუდევია 264.486 მანეთი.

მესამე მუხლში აღნიშნულია საპყრობილეებისა და ციხეების შენახვა-მოწესრიგების ხარჯი—543,384 მანეთი. საერთოდ მთელი ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია—20,130,042 მანეთი; წინა სამ წლის განმავლობაში—17,798,160 მან. აქედან საზეითლო საქმესათვის გადადებულია—4,49 პროც., სამკურნალო საქმისათვის—46 პროც., აგრონომიულ დახმარება—1,015 პროც., სახალხო განათლება 2,49 პროც., და საზოგადო თავშესაფარებისათვის 4,9 პროც., ცალკე მუხლებად ასეა დაყოფილი: 1) მთავრობის დაწესებულებათა ხარჯებისათვის—269,913 მან., 2) საერობო დაწესებულებათა შენახვა—264,486 მან.; 3) საპყრობილეებისა და სატუსაღოებისათვის 543,384 მ. 4) საგზაო საქმე საოქალაქო შენობები—5,022,126. 5) სახალხო განათლება—3,600,759; 6) საზოგადო თავშესაფარები—287,508 მან. 7) სამკურნალო ნაწილი 4,762,858 მ., 8) საზეთლო ნაწილი—770,196. 9) ეკონომ. განვითარებისათვის,—2,386,053; 10) სხვა და სხვა ხარჯები—1,572,759; 11) მოულოდნელი ხარჯები—630,000 მ.

საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებს 51 პირი. ამათგან გარდა თავმჯდომარისა ყველა საკითხებში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ 36 პირს, სხვა და სხვა უწყებათა საკითხში—7 პირს და სათათბირო —7.

## ხმა ზუგდიდიდან

2 მარტს მოხდა ზუგდიდის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წლიური კრება. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა წვრილი სესხის ინსპექტორი ბ. ვ. ღლონტი. კრებას მოხსენდა ანგარიში, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ამხანაგობას დაუწყია მოქმედება 8 იანვარს 1913 წ. მოქმედების დაწყების დროს ამხანაგობაში ირიცხებოდა მხოლოდ 57 წევრი 4690 მანეთის ნდობით, წლის ბოლოს კი წევრების რიცხვი ასულა 216-მდე 20,030 მანეთის ნდობით. ამხანაგობას დაარსებისას ჰქონია სახელმწიფო ბანკიდან ნდობა გრძელვადიან სესხად 2500 მან., ხოლო მოკლე ვადიანი 5000 მანეთი. აგვისტოში ამხანაგობისთვის გაუდიდებიათ მოკლე ვადიანი სესხი 10,000 მანეთამდე. საანგარიშო წლის განმავლობაში ამხანაგობას შემოსვლია საწევრო ფული 1055 მანეთი, გაუცია სესხი ამხანაგებზე 23,432 მანეთი, დაუბრუნებიათ 9982 მანეთი და წლის ბოლოსთვის კიდევ ირიცხება გაცემული სესხი 13,450 მანეთი. ამავე დროში ამხანაგობისთვის მიუბარებიათ 2073 მანეთი, გაუტანიათ 1173 მან., წლის ბოლოსთვის კი დარჩენილა მობარებული 900 მანეთი. ყოველივე ხარჯის გამოკლებით ამხანაგობას დარჩენია წლის ბოლოს წმინდა მოგება 478 მან. და 28 კაპ. კრებამ ერთხმად დაამტკიცა წლიური ანგარიში და მადლობა გამოუცხადა გამგეობას ნაყოფიერი შრომისათვის. წმინდა მოგება ამ ნაირად გაანაწილეს: საკუთარი ძირითადი თანხისათვის გადასდო 192 მან., სათადარიგო თანხისათვის—96 მან., ამხანაგების საწევრო ფულს მიუმატა 105 მან. და 50 კაპ., 70 მანეთით დააჯილდოვა გამგეობა, რომელიც წლის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდა, ხოლო დარჩენილი 14 მან. და 78 კაპ. გადასდო ზუგდიდის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოსთვის. კრებამ დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რომ ამხანაგობის მოქმედება გავრცელდეს ზუგდიდის სოფლის საზოგადოებაზე. ეხლა მხოლოდ დაბაში მცხოვრებ ხელოსნებს და წვრილ მეურნეებს შეეძლოთ სესხით სარგებლობა (ამის შესახებ სოფლის მცხოვრებთაგან იყო შემოტანილი განცხადება). 2, აღიძრას შუამდგომლობა, რომ გაუდიდდეს ამხანაგობას გრძელ ვადიანი სესხი 5000 მანეთამდე, ხოლო მოკლე ვადიანი 15,000 მანეთამდე; ამ შუამდგომლობის განხორციელების ხელის შეწყობას დაჰპირდა ინსპექტორი ბ. ღლონტი, რისთვისაც მას კრებამ მადლობა გამოუცხადა. 3. რათა ხალხი შეაჩვიოს ფულის მობარებას კრებამ ნება მისცა გამგეობას, რომ აძლიოს ვადით მობარებულ ფულზე 8 პროცენტამდე. შემდეგ კრებამ გამგეობის სამს წევრს დაუნიშნა ჯამაგირი თვეში 10 მანეთი თითოს და დაამტკიცა სხვა ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის. გამგეობაში დარჩნენ ისევ ძველი წევრნი: პ. კეიდია, ბ. უგულავა და გ. კვარაცხელია, ხოლო საბჭოში ნაცვლად თ. ჭითანავასი, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, არჩეულ იქმნა ფარული კენჭის ყრით რ. ზაქარაია.

**დამსწრე.**

## მოწერილი ამბები

**ს. ბევჭალი.** წინით მამასახლისებს ჯამაგირი სრულებით არა ჰქონდათ და მწერლებს ძალიან მცირე ჯამა-

გირს აძლევდა საზოგადოება, ხალხი ამითი იქარვებდა გულს, მამასახლის ჯამაგირი არა აქვს და ამიტომ საზოგადოების ფულსა ჰყლაპავსო. ახლა მამასახლისი ავჭალისა იღებს 30 მ. მწერალიკი 60 მან. თვეში, მაგრამ მაინც გაუტყვნიათ მაღაზიის ფულისათვის და სასოფლო ფულისათვის; მომრიგებელ მოსამართლის ყურამდე მიაღწია, რომელიც თებერვლის თვრამეტში მივიდა ავჭალაში და უანგარიშა. ავჭალის მამასახლისს რაზმაძეს დაედო როგორც მაღაზიისა, აგრეთვე სასოფლო ფულები, სულ 500 მანეთი. მომრიგებელმა მოსამართლემ ამოურჩია მოანგარიშეები და ჩამოხსნა ჯაქვი მამასახლისს რაზმაძეს და ჩააბარა მის ნაცვალს და უბრძანა როგორც ახალ მამასახლისს აგრეთვე ამორჩეულ კაცებს მოკლე ხანში წარუდგინათ მისთვის ნამდვილი ცნობები. მაგრამ დღემდის დაძინებულია ეს ამბავი, ნამამასახლისარი რაზმაძე ქუდ მოხდილი სთხოვეს ამორჩეულ კაცებს მაპატიეთო. რათქმა უნდა რომლებსაც იმასთან ერთად უჭამნიათ ისინი თანახმა არიან პატიებისა, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა უფრო შეგნებულად, სამართლიანად მოიქცევა და სოფლის ფულს არავის შეარჩენს.

ავჭალელი.

## მუშათა ცხოვრება

(დეპეშა)

**პეტერბურგი.** დილით ბევრს ქარხანაში მუშებმა შეაჩერეს მუშაობა. მათ პროტესტი განაცხადეს მუშათა ბეჭდვითი სიტყვის რეპრესიების გამო.

სატახტო ქალაქის 300,000 მუშიდან 30,000 გაიფიცა. რამდენსამე ადგილას დემონსტრაციების გამართვა ჰსურდათ, მაგრამ პოლიცია მათ ჰფანტავდა.

ქალაქის უფროსი ოფიციალურად იტყობინება, რომ 13 მარტს პეტერბურგის ქარხნებისა და სტამბების მუშები, რიცხვით 46,581 კაცი გაიფიცა. მთელი დღის განმავლობაში ქალაქის სხვა და სხვა ადგილას ჰსურდათ მათ დემონსტრაციები გაემართათ, მაგრამ წინადვე დამზადებულმა გაძლიერებულმა პოლიციამ ხელი შეუშალა.

**ეკატერინოდარი.** ვერხნებაკამის სტანიცაში დუღაბის ქარხნის „ტიტანის" ქვის სატეხში კლდე ჩამოწვა და ორი მუშა დაიტანა.

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

(დეპეშა)

**პეტერბურგი.** სახემ. სათ. სტატს-სეკრეტარი გორემიკინის წერილობითი ოფიციალური განცხადება მოისმინა, იგი ატყობინებს, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შესაძლოდ არა სთვლის მისმიერ მიმართულ შეკითხვებს სათათბიროში პასუხი გასცეს, რადგანაც სახ. სათათბიროს შესახებ დებულებათა 33 მუხლის თანახმად, სათათბიროს უფლება აქვს შეკითხვით მიჰმართოს მხოლოდ იმ დაწესებულებათა და პირთ, რომლებიც სენატის ზედამხედველობაში იმყოფებიან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კი, როგორც აგრეთვე თვით მინისტრთა საბჭოც, სენატს არ ექვემდებარება. სათათბიროს თათბირმა დაადგინა ეს განცხადება მხედველობაში მიიღოს.

(გაზეთებიდან)

**სახ. სათათბიროს დეპუტატებისთვის ცნობების მიწოდება.** „დენი" სწერს, რომ სახალხო განათლების მინისტრმა დაუგზავნა ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ცირკულიარი, დღეის შემდეგ არავითარი ცნობები არც ოლქის მზრუნველის განკარგულებათა შესახებ, არც სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს განკარგულებათა შესახებ, არც სამინისტროსგან მიღებულ ოფიციალურ ცნობათა შესახებ სახ. სათათბიროს წევრებს აღარ მიაწოდონ. ეს ცნობები მხოლოდ სამინისტროდგან შეუძლიანთ მიიღონ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

13 მარტი.

უცხოეთი.

**რიოდეჟანეირო.** პრინც ჰენრიხ პრუსიელი და მისი მეუღლე მოვიდნენ.

**სოფია.** ადრიანოპოლის აღების წლის თავზედ: ბულგარეთში ყველგან პანაშვიდები გადაიხადეს ადრიანოპოლის იერიშის დროს დახოცილთა სულის მოსახსენებლად. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, საბერძნეთმა მიიღო ბულგარეთის წინადადება, ოჭრილარის სადგურის მიდამოებში სამზღვარის საკითხი ს სამედიატორო სასამართლოში ბელგიელი აფიცერიც იყოსო.

**ბელგრადი.** ადრიანოპოლის აღების წლის თავზედ დუნაის ჯარის ოფიცრების თაოსნობით პანაშვიდი გადაიხადეს.

**ვენა.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უკრაინელი დეპუტატი ლევიცკი სადარბაზოდ მიიღო. გაზეთები იუწყებიან, ვითომ იმპერატორმა უთხრა ლევიცკის, — უკრაინელებს მუდამ მამაშვილურად ვეპყრობოდი და იმედი მაქვს, გალიციის ახალი საარჩევნო რეფორმის შემდეგ, თანხმობითი ცხოვრება და მოქმედება ორივე ეროვნებისა კეთილად წარიმართებაო.

**ათინა.** გაზეთების ცნობებით, მინისტრთა საბჭომ გაარჩია ოსმალეთის წინადადება, კუნძულების საკითხში უშუამდგომლოდ შევთანხმდეთო. ჰფიქრობენ, საბერძნეთი დასთანხმდება ამ წინადადებას, თუ მოლაპარაკების დროს არ შეეხებიან იმ უფლებებს, რაც დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით საბერძნეთს ენიჭება ეგეის კუნძულებზედ.

**ტრიპოლი.** შეოთხე ლივიის ბატალიონისა და იტალიის სხვა ჯარების რაზმი პოლკოვნიკ რივერის მეთაურობით ტრიპოლიტანიას წავიდა, აღმოსავლეთ საზღვარზე ნოფილის ადგილებში, სირციდგან 200 კილომეტრზე. აქა სცხოვრობს ხოგარჩის თემი. რაზმს აჯანყებულებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს. რაზმმა იერიში მიიტანა და იგინი დაამარცხა, რის შემდეგაც ციხე ზავია დაიჭირეს.

**კაიო-როშეტის საქმე.**

**პარიზი.** გამომძიებელი კომისია როშეტის საქმის გამო უნაყოფოდ ცდილობდა ბერნარისა კაიოსთან და კაიოსი მონისსთან შეხვედრის ნამდვილი დრო აღედგინა; კაიო უარს ჰყოფს იმ რიცხვებს, რომლებიც ფაბრის ოქმშია აღნიშნული.

კაიოს ჩვენება ბევრში არ ეთანხმება შირტუსა და ბრიანის ჩვენებებს. კაიო ამტკიცებს, ფაბრის საბუთის შესახებ არაფერი ვიცოდიო. არას დროს არ მივცემდი ნებას კერძო და საზოგადო საქმეები აერიათ. და საკრედიტო დაწესებულებათაგან დამოკიდებული არ ვიყავიო.

ბრალმდებელი ლეკუვე გადაჭრით აცხადებს, როშეტი და ის პირნიც, რომელნიც მისი საქმის გაჭიანურებას სცდილობდნენ, ეჭვს გარეშეა დაინტერესებულნი იყვნენ, რომ როშეტი განთავისუფლებულიყო. ლეკუვე დაბეჯითებით ამბობს, როშეტის საქმის გადადება მთავრობის გავლენით მოხდაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ 394 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 95 ხმისა მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ერთდროულად გადადებულია სახელმწიფოს დასაცავად 2 მილიარდი ფრანკი.

**პარიზი.** გარდაიცვალა პროვანსის მგოსანი მისტრალი.

**ტოკიო.** სასახლეში თათბირია ახალი პრემიერის დანიშვნის შესახებ. გენროდგან მონაწილეობას იღებენ იამაგატა, მაცუკატა, ოიამა, დანარჩენი ოიანმები ავადმყოფობის გამო არ არიან. პარლამენტი დაიხურა. დღეს პრემიერმა პარლამენტის წევრების ბანკეტი გამართა. გაზეთები თხოულობენ პარტიული კაბინეთის შედგენას და წინააღმდეგნი არიან ხოიოსინების თემის მომხრეთა კაბინეთისა.

**ვენეცია.** საღამოთი იახტა „ჰოჰენცოლერნზედ" გაიმართა სადილი ორმოცი კაცისთვის. მეფე და იმპერატორი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ. სხვა სტუმრებთან ერთად იყვნენ მარკიზი სან-ჯულიანო, გერმანიის ელჩი ფლოტოვი, ამალა, ქალაქის მმართველები. 11 საათზე მეფე რომში გაემგზავრა.

**რომი.** ოფიციოზის ცნობით, გენერალმა პორომ უარი განაცხადა სამხედრო მინისტრობაზედ იმის გამო, რომ არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნილება. იგი თხოულობდა ჯარის რიცხვი 325000 კაცამდის გაემრავლებინათ და სამხედრო უწყების საგანგებო ხარჯებისთვის 600 მილიონი ლირი ეძლიათ.

ტურინისა და ნეაპოლის სინდიკატების საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლებმა დაადგინეს 3 აპრილს საყოველთაო სარკინიგზო გაფიცვა დაიწყონ.

**აჯანყება ინდოეთში.**

**ლონდონი.** უმთავრეს გულისყურს იწვევს სამხედრო სამინისტროს თათბირი ფელდმარშალი ფრენჩისა და რამდენიმე გენერლებისა. პარლამენტის კულუარებში ცნობაა, ფრენჩი და გუფი ალბათ ეგრეთ სამსახურიდან გადადგენო. მეფე-დედოფალი ჩესტერიდან დაბრუნდნენ. საზოგადოებათა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, ჰომრულის ბილის განხილვა 18 მარტს განახლდებაო. ოპოზიციური წრეები სცდილობენ კაბინეტი დაამხონ. ასკვიტის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ ფინანსიური წრეების მეთაურები, ძველი ტორიების ყველა უფროსი ხელმძღვანელი წინამძღვრები. ფრენჩის გადადგომა არა მართლდება.

ხმებია, კაბინეთში ასკვიტის სხვა თანამდებობას მისცემენ. კულუარებში ჰფიქრობენ, კაბინეტის გადადგომა შეუძლებელია მანამდე, რაც მინისტრმა თავისი განმარტება წარადგინაო. მთავრობას სწადია ჰომრულის განხორციელება მალე.

**რუსეთი.**

**ნოვოჩერკასკი.** საფოსტო კანტორაზე თავდასხმის დროს, კანტორაში დარაჯი არა ყოფილა, იყო მხოლოდ შეიარაღებული ფოსტალიონი, რომელზედაც ექვსი ათასი ნაწილი იქნებოდაო. დღეს, თავდამსხმელთაგანი სამი კაცი უკვე დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** ადრიანოპოლის აღების წლის თავზე პანაშვიდები გადაიხადეს ბულგარეთის ელჩის მეთაურობით აღდგომის ტაძარში, ხოლო სერბიის ახალშემცვლის მეთაურობით ყაზანის ტაძარში.

**ვლადივოსტოკი.** ამურის ოლქის სოფელ სუდნობელოში სოფლის სამმართველოს თავს დაესხნენ. წაიღეს 10000 მან. მოჰკლეს ზინადარი, სოფლის მწერლის თანაშემწე და ყარაული. მძიმედ დასჭრეს ორი ფოსტალიონი, რომელთაგან ერთი უკვე გარდაიცვალა.

**ხარკოვი.** ცნობილი ოკულისტი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი გირშმანის დაბადებიდან წლის შესრულების გამო სადღესასწაულო ბანკეტი გაუმართეს მას. სამოქალაქო საბჭომ იგი ქ. ხარკოვის საპატიო მოქალაქედ აარჩია.

**ასტრახანი.** გარდაიცვალა ასტრახანის ეპისკოპოსი ნიკოდიმე.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც აკრძალულება დასავლეთისა და შავ ზღვის საზღვრებით ცხენების გაყვანა. საბჭომ ეს კანონპროექტი მოიწონა და დაადგინა, სათათბიროს გასცეს. ამასთანავე დაადგინა ფინლენდიის სენატსაც დაავალოს ეს ზომა ფინლანდიის ადმინისტრატიული ხელმძღვანელობით ფინლანდიაშიც შემოიღონ.

## რუსეთი

**უკრაინის გაზეთები რუსეთის შესახებ.** „ნოვოე ვრემიას" შემდეგ დეპეშა მიუღია საზღვარ-გარეთიდან: „ცნობილი უკრაინელი მოღვაწე კოლომიჩენკო ლვოვის გაზეთ „დილოში" მოუწოდებს რუსს მაზეპისტებს მხოლოდ თავისი თავის იმედი იქონიონ და ველიკორუსებს ნუ ენდობიან, რადგანაც იმათ უკრაინის მოსპობა ჰსურთო. იგი აღწერს შევჩენკოს დღესასწაულებს ოდესაში და ამბობს, დროა დავტოვოთ მართლმადიდებლობა და შევუერთდეთ ისეთ ეკლესიას, რომელიც სიხარულით მიეგებება მოსალოდნელ აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ. „დილოს" ახალ ნომერში საკითხი პირდაპირ არის დაყენებული, მეთაურ წერილში იგი არწმუნებს რუსეთის მაზეპისტებს, რომ ნიღაბის ჩამოცლის დროაო; კულტურული, ეთნოგრაფიული ფილოლოგიური უკრაინიზმი, „დილოს" აზრით, ისტორიას ეკუთვნის. უკრაინის საკითხი არის და იქნება პოლიტიკურ საკითხად რომლის გადასაჭრელად ერთად-ერთი გზა რუსეთთან პოლიტიკური ბრძოლაა."

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** „ჯეჯილის" რედაქცია კვირას, 23 მარტს, ჰმართავს საყმაწვილო დილას. წარმოდგენილი იქნება საბავშვო პიესა „უვაილთა შორის". ბავშვები წაიკითხავენ ლექსებს და იმღერებენ.

ჩვენი ყმაწვილები ისე მოკლებულნი არიან კარგ გართობას, რომ იმედია სიამოვნებით დაესწრებიან ამ დილას.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ამასთანავე ვარდგენ თქვენს პატივცემულ რედაქციაში მცირედს წვლილს, 14 მანეთს და 80 კაპეიკს „ამხანაგ-მეგობართა შორის" შეგროვილს ქუთაისის გუბერნიაში დამშეულთა სასარგებლოდ ‹ უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ სადაც ჯერ არს. შემომწირველთა სია.

სერგო კახელიძე—1 მ. გიგო ბასილაშვილი 1 მ. იაკოფ ხახვიაშვილი 1 მ. თამარა ვანოს ასული ალხნიშვილი 50 კ. მათე გორგილაძე 1 მ. გიორგი მაისურაძე 1 მ. ანტონ ქობულაშვილი 1 მ. სიმონ ქევანაშვილი 1 მ. ილარიონ ბერძნიშვილი 1 მ. იოსებ ჯაფარიძე 35 კ. ბესარიონ ქკუასელი 1 მ. ილიკო მაჩაიძე 1 მ. ნიკო ტრაპაიძე 50 კ. იასონ ჩიქოვანი 1 მ. უცნობისგან 20 კ. არტემა სირტყლაძე 50 კ. ალექსი დავითულიანი 25 კ. ტრიფონ პატარიძე 50 კ. გედევან მაღრაძე 50 კ. ილიკო ნატროშვილი 50 კ. სულ 14 მ. 80 კ.

**სერგო კახეთელიძე.**

გამგე კომიტეტი გორის ქართველ ქალთა „მანდილოსანის" საზოგადოებისა გთხოვთ დაუთმოთ მცირე ადგილი თქვენი გაზეთის ერთ-ერთს მახლობელ ნომერში, 14 იანვარს—1914 წ. გამართულ წარმოდგენის **ანგარიშს,** ზემოხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ:

**შემოსავალი** ბილეთების გაყიდვიდან—301 მ. 60 კ. ბუფეტიდან—108 მ. 75 კ., შეწირულებანი—7 მ. 75 კ., პროგრამებიდან—11 მან. 25 კ. სულ შემოსავალი—429 მ. 35 კ.

**ხარჯი;** ქირა საკრებულო დარბაზისა—30 მ. საზანდარი—30 მ., ბუფეტის ქირა—22 მ., ტანისამოსის ქირა—18 მ., მსახიობთა საგზაო ფული—39 მ. მარკების ფული 14 მ. 90 კაპ., პარიკმახერი—8 მ. ღვინო—6 მ. 90 კ., მოსამსახურე—5 მ. სხვა და სხვა წვრილი ხარჯები 18 მ. 75 კ. აფიშებისა 10 მ. სულ ხარჯი: 202 მ. 55 კ.

წმინდა შემოსავალი—226 მ. 82 კ.

გამგე კომიტეტი გორის ქართველ ქალთა საზოგადოებისა ღრმა მადლობას უცხადებს ქ. ნ. დავითაშვილს, მ. ბასიშვილს, ქ. ციციშვილს, დაფქვიაშვილისას, მაისურაძისას. ბ.ბ. ჯავაიშვილს, მაჭავარიანს, თაზიშვილს, ცერცვაძეს, ჩუტკერაშვილს, თვალიევს, ტერსტეფანოვს და ყველა იმ პირთ, ვინც ხელი შეუწყო წარმოდგენის გამართვას.

**თავმჯდომარის ამხანაგი: ო. გ. გოგოლაშვილისა,**

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული „სახალხო გაზეთის" საშუალებით ღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ნ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, რომელმაც სუჯუნის ნორმალურ ორკლასიან სასწავლებელს უფასოდ დაუთმო ჟურნალ „ჯეჯილის" შარშანდელი ნომრები, ხოლო ამ წლის კი ნახევარ ფასად და ამგვარად ხელი შეუწყო ხსენებულ სკოლის მოწაფეებს ქართული ენის შესწავლაში.

**სუჯუნის „ნორმალური" სკოლის ზედამხედველი ფილიმე გუნია, მასწავლებელნი. ალექსანდრა—ჩხაიძე გუნიასი და ელიტ სიხარულიძე.**

## შემოწირულება

ბატონო რედაქტორო! გიგზავნით 51 მანეთს და 30 კ. და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ, თანახმად შემომწირველსა სურვილისა; 20 მანეთი ქუთაისის გუბერ. დამშეულთა კომიტეტს და დანარჩენი ილიას სახლის გამოსასყიდად. უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ამ ფულის შემომწირველთა სია დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

შემომწირველთა სია: მალაქია ლომჯანიძემ 1 მ., დიანოზ ლომჯანიძემ 1 მ., სერდიონ ლომჯანიძემ 1 მ., კოსტა გაგნიძემ 1., პარმენი ჩიხრაძემ 1 მ. 50 კ. ანტონ გორდეზიანმა 50 კ.

ჩითაევის ღვინის სავაჭროს მოსამსახურეთ 6 მ., ალექსი მელიქიძემ, ნიკო სუჯაშვილმა, იოსებ ხუციშვილმა, Иванъ, Петръ, Женя, რაჟდენ დოლიძემ, გიო შამელოვმა.

ალექსანდრე ზაქაიძემ 5 მ., ანტონ ჩიხრაძემ 5 მ., სპირიდონ ჩიხრაძემ 3 მ., ივანე ქეიშვილმა 3 მ., ადამ მუმლაურმა 2 მ., ნიკო ნუროშვილმა 3 მ., სოფრონ კერვალიშვილმა 5 მ., გიორგი მუმლაურმა 3 მ., შაქრო ოთარაშვილმა 2 მ., გაბო აბუთიძემ 1 მ., ალექსი ლომჯანიძემ 1 მ., ღრამიტონ კალმახელიძემ 1 მ. მიშა ლომჯანიძემ 50 კ., სვიმონ კვერკველიამ 1 მ. 50 კ., ბათლომე მაისურაძემ 1 მ., სპრიდონ ყაველაშვილმა 1 მ., მიხეილ ნუროშვილმა 1 მ., სვიმონ დავლიანიძემ 30 კ., სულ შემოწირული 51 მ. 30 კ.

მონდობილობით **ხოფრ. კერვალიშვილი**

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

## მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აქნი შნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106 **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს 00 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ** . , 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ. № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7. **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, **ნარევ.,** მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

**ჯულფიდან** № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**მელაბერიასა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. ფომინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მარაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სხვაცა-კი ამ მხრივ უწესობას შეჰხვდნენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, გლისაბედის ქუჩა 56 და ბალაკნის მოედანზე.


## ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.

ბ. გ. ... : 1—2 ს. ... შინაგანი ავადმყ.

ზ. ა. ბ ... : 10—11 ს. საპ...ო, ქალებისა ... ბავშვებისა.

ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ბეგთაბაბანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. სამშობიარო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბეგთაბაბანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაგახარდიანი.

1071

ბ ა ქ ო შ ი

## ვექილი მიხეილ ნასიძე

სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.

მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

მ შ ო ბ ლ ე ბ ო!

ნუ სტანჯავთ და ნუ ამახინჯებთ შვილებს უწესური სწავლებით დაწყებითის არითმეტიკისა და ანბანისა —წერა-კითხვისა—ეს ხომ საფუძველია მთელი შემდეგი სწავლისა!

ვასწავლით **სპეციალურად** ქართული ანბანსა და წერა-კითხვა-ანგარიშსა სრულიად ადვილად და საფუძვლიანად 2—3 თვეში. პირობებისათვის მიმართეთ პირადად ანუ წერილით **ივანე პავლ. როსტომაშვილს** (Тумановск. пер. 24). 177

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ



## მივიღეთ

**ზაფხულის სეზონის ყველანაირი**

ფეხსაცმელი

პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. **ფასები საქარხნოა** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.

პატივისცემით **თომა ჯანყარაშვილი** მუხრანის ქ. № 2. 172.

## ს ა ნ ე რ გ ე
## ამერიკულ ვაზისა „კლო-ეგურულო" ქუთაისში

მუდამ რჩევას იძლევა ამა თუ იმ ნიადაგის შესაფერ ნერგის არჩევაში და მევენახეებს აფრთხილებს, რათა არ იხმარონ ნერგი **რუპესტრისი** რომელიც ცუდად ხეირობს, მდარე ღვინოს იძლევა და ყველა სხვა დასამყნობ ნერგებზე უფრო მეტად სნეულდება სოკოს ავადმყოფობით.

**მუდამ მზადდება გასასყიდად**

წოლიკაური, კრახუნა, ციცკა, მწვანე, რქა-წითელი, საფერავი, ოცხანური და მრავალი სხვა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ნერგი (აგრეთვე პირდაპირი მომშენებელი გიბრიდი) სხვა და სხვა ნიადაგისათვის შესაფერ ძირზე ნამყნობი. სხვა და სხვა ჯიშის ვაზი ნერგი 1000 ცალი 65 მან. ღირს. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება. 113

თეგზის მრეწველნი

## მმ.



## ძმები ბელოვეები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

## განყოფილება ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

## იყიდება

იმავე ხარისხის

## საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე.

1081